№ 244 ნოემბერი 19, შაბათი 1888 ნოემბერი 19, შაბათი № 244

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ჩიქოვანის (?) სავაჭროს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის მოვალეთა მამულების გასყიდვის ვადა, ბანკისაგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო, შეიცვალა ამ ნაირად:

იმ მამულებისა, რომელნიც მდებარეობენ ქალაქთ ქუთაისს, ფოთს, ოზურგეთსა და ახალციხეს, ვაჭრობა მოხდება **ოც-და-ერთს დეკემბერს ამა წლისას** და სოფლის მამულებისა და, აგრეთვე, მოკლე ვადიანთა სესხთამებრ **ოც-და-ორს იმავე დეკემბერს**, ხოლო მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა **რვას იანვარს**, მომავალის წლისას. იმ მამულებისა-კი, რომელნიც მდებარეობენ ქალაქს ტფილისს, ტფილისისა და გორის მაზრებში, პირველი ვაჭრობა იქნება **ცხრამეტს დეკემბერს ამა წლისას**, ხოლო **მეორე—სამს იანვარს მომავალის 1889 წლისას.** (3—1)

კვირას, 20 ნოემბერს

ტფილისის კლუბში გამართული იქმნება ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ

**კონცერტი.**

მიიღებენ მონაწილეობას: ქქ. ზარუდნაია, ბიჩურინა, იოზეფოვიჩი; ბბ. ტარტაკოვი, მედვედევი, გ. ყორღანოვი, ოპოჩინინი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ტფილისი, 18 ნოემბერი

ერთს წარსულს წერილში ჩვენა ვსთქვით, რომ ჩვენი მწერლობა, ჩვენი საზოგადოება, სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, ამ ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილას ეთელება და ერთხელავე შემოფარგლულს ვიწრო წრეს ვერ გადასულა. მაშინ ჩვენ ვამბობდით, რომ ჩვენს ენას საპატიო ადგილი ვერ დაუმკვიდრებია სკოლასა და სამართალში, ესე იგი, იქ, სადაც უმთავრესს ღონედ და საჭსრად უნდა იყოს მიჩნეული და აღიარებული. იმ წერილის თავი და თავი აზრი ის იყო, რომ ჩვენი წარმატება ისე ვერ მიდის, როგორც სასურველი და სანატრელია, და ყოველს ჩვენს საქმეს, საცა არ გინდა, სხვა-და-სხვა დაბრკოლება გზაზე ეღობება და სულს უხუთავს. ესევე ითქმის ქართულის თეატრის შესახებაც. ეს ათიოდე წელიწადია, რაც დაარსდა ქართული თეატრი და ამ ათის წლის განმავლობაში იგი სცდილობს გზა გაიკვალოს, მაგრამ თეატრის მოღვაწეთა თავიანთი სურვილი და ნატვრა ვერ შეუსრულებიათ. მართალია, თეატრმა ბევრი დაბრკოლება გადალახა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ ჯერ გასავლელი მაინც ბევრი დარჩენია. ქართულის თეატრის მოღვაწეთა შეჰქმნეს ქართული რეპერტუარი, გამართეს დრამატიული დასი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ საუკეთესო მოთამაშენი, და ცოტად თუ ბევრად საზოგადოებაც შეაჩვიეს ქართულს სცენას. ყოველივე ეს თეატრის მოღვაწეთა მოიმოქმედეს იქ, სადაც არც რეპერტუარი იყო, არც დასი და სადაც საზოგადოება თითქმის სრულიად გადაჩვეული იყო ქართულს სცენას. როგორც ჰხედავთ, სცენის მოღვაწეთ საკმაო სამსახური მიუძღვისთ საზოგადოებისა და თეატრის წინაშე. ამიტომაც საფიქრებელი იყო, რომ ქართული თეატრი თანდათან ჩქარის ნაბიჯით წაიწევდა წინ და ნაკლებს დაბრკოლებას შეეფეთებოდა. მაგრამ ამ გვარი იმედი მართალი არა ყოფილა და ამას გვიმტკიცებს წრევანდელი წლიური კრება ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა. ვინც ამ კრებაზე დაესწრო და ბაასი მოისმინა, ის უსათუოდ დარწმუნდება, რომ ქართულის თეატრის მდგომარეობა მეტის-მეტად ძნელი და არა-სანატრელია. ერთი იკითხეთ, რა დაბრკოლება არ ეღობება ჩვენის თეატრის წარმატებას! მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც იყო წრევანდლამდე ქართული თეატრი მაინც წინ-წინ მიდიოდა. წელს-კი საქმე უკუღმა დატრიალდა და ქართულს თეატრს დიდი გაჭირება ეწვია. ქართველი საზოგადოება წელს ძალიან ნაკლებად დადის ჩვენს თეატრში, იმდენად ნაკლებად, რომ თეატრს თავის გატანაც უჭირს. ამაზე დიდი ლაპარაკი იყო ჩვენს საზოგადოებაში; ზოგნი ქართულის თეატრის შეფერხებას სწამებდნენ თვით დრამატიულს საზოგადოებას, ზოგნიც ქართულს დასს, მაგრამ არც ერთი თუ მართალი არ არის. თეატრის საქმე იმდენად რთულია, რომ ერთ-ერთ მიზეზით ვერ აიხსნება იმისი წარმატება, თუ დაქვეითება. თეატრის ავი და კარგი, როგორც თვითოეულის რთულის საქმისა, დამოკიდებულია მრავალ გვარ მიზეზზე და დრამატიული საზოგადოება და დასი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ამ მრავალს მიზეზს. მაგალითად, საკუთარსა და საზოგადო სიღარიბეს, საზოგადოების გულ-გრილობას, შესაფერის პიესების უქონლობას, მოთამაშეთა რაოდენობის ნაკლებულობასა და სხვათა და სხვათა.

ცხადია, რომ ამ გვარად ერთბაშად მოჭარბებულ დაბრკოლებათა დრამატიული საზოგადოება და დასი, რაც უნდა მხნენი იყვნენ, ვერ გაემკლავებიან, თუ თვით საზოგადოებამ არ გამოიფხიზლა თვალები და ყური არ ათხოვა გაჭირებულს მდგომარეობას თეატრისას. თუ რამდენად გულგრილად ეპყრობა ჩვენი საზოგადოება ქართულის თეატრის ვითარებას, იქიდგანა სჩანს, რომ თვით დრამატიულის საზოგადოების წევრნიც-კი, რომელნიც ზნეობრივად ვალდებულნი არიან დაეხმარონ ქართულს თეატრს სიტყვით თუ საქმით, რამდენისამე წლის განმავლობაში ერთხელაც არ შეიხედავენ არც ქართულს თეატრში და არც დრამატიულს საზოგადოებაში, რომ თეატრის ავ-კარგიანობა შეიტყონ და გულ-მტკივნეულობა მაინც დაამტკიცონ თეატრისადმი.

თუ რამდენად გაჭირებულია თეატრის მდგომარეობა, სხვათა შორის, იქიდგანაცა სჩანს, რომ დრამატიულს საზოგადოებას, თუმცა ძალიანა ჰსურს, ვერ განუმეორებია იმ პიესების წარმოდგენა, რომელნიც ქართულს საზოგადოებას ფრიად მოსწონს. ჩვენ ვამბობთ ისტორიულს პიესებზე, რომელთა წარმოდგენა სხვა-და-სხვა მიზეზის გამო საზოგადოებას ვერ მოუხერხებია, თუმცა მრავალჯერ ცდილა თავისი განზრახვა შეესრულებინა...

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ ხვალ, კვირა დღეს, დანიშნულია კონ-

# ფელეტონი

## უცხოთა შორის

ამერიკელ მწერალის აზრი. —საიდგან წარმოსდგა როტშილდის გვარი?—გაფრთხილებული, წინ-დახედული კაცი.—საკვირველი აქ არაფერია.—რაბინობას ბანკირობა არჩია.—მეიერ როტშილდის პატიოსნება.—მეიერის ანდერძი.—ნაპოლეონი ბედის ვარსკვლავად გადიქცა როტშილდებისთვის.—ნატანის ოინი.—ფული უფრო ძლიერ სჭრის, ვიდრე ხმალი.—როტშილდის ამბავი სახელმწიფო ბანკთან.—მარტო სიმდიდრე ბედნიერებას ვერ მისცემს კაცსა.—ვინ მოიფიქრებდა ამას?..

გამოჩენილი, ყმაწვილების საყვარელი ამერიკელი მწერალი ფენიმორი კუპერი ერთს ალაგას თავისის ნაწერებისაში ამბობს: „ყოველს ადამიანს რაღაც სურვილი აქვს ნახოს ის კაცი, რომელიც რითიმე არის გამოჩენილი, შესანიშნავიო“.

სრული ჭეშმარიტებაა, თუმცა, ვგონებთ, ჭეშმარიტებაზე არც ჩვენ ვიქმნებით ძლიერ დაშორებულნი, რომ კუპერის სიტყვებს ესეც დავუმატოთ: მართალია, რომ ადამიანს სურვილი აქვს ნახოს შესანიშნავი კაცი, ხოლო აგრეთვე მართალია ისიც, რომ ადამიანს უყვარს, როდესაც შესანიშნავს კაცზე ელაპარაკებიან.

თუ ასეა, მაშ მკითხველი სამდურავს არ მეტყვის, რომ დღეს როტშილდზე ჩამოვაგდო ლაპარაკი,—და როტშილდიც ხომ შესანიშნავი, გამოჩენილი კაცია!

რითია შესანიშნავი, გამოჩენილიო?—იქმნება მკითხოს ვინმე.

როგორ თუ რითი! აი თუნდ იმითი, რომ როტშილდის სახელი დღეს მთელმა ქვეყანამ იცის, როტშილდის სიმდიდრე საარაკო ამბად არის გადაქცეული. ჩვენამდისაც ხომ მოაწია ამ კაცის სახელმა? ვინ გინდათ, რომ დღეს ჩვენში როტშილდზე არა ლაპარაკობდეს.

ნუ თუ არა ღირს შევიტყოთ, ვინ არის, საიდამ არის, რა სიმდიდრე აქვს, როგორ შეუძენია ეს სიმდიდრე იმ კაცს, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობენ? ჩვენა გვგონია, რომ ღირს. მაშ გიამბობთ ამ კაცის ვინაობას.

**

წარსულს საუკუნეში, გერმანიის ქალაქს ფრანკფურტში, ერთს ვიწრო, ტალახიან და ბინძურად შენახულს ქუჩაზედ, რომელსაც „ურიების ქუჩა“ ერქვა, სცხოვრებდა ურია სახელად ამშელ მოზესი. ასეთს გვარს ამას გარდა სხვებიც ბევრნი ატარებდნენ იმავე ქუჩაზე. და აი, სხვებისაგან გასარჩევად, ამშელს მეტ გვარად როტშილდს არქმევენ, რაიცა ჰნიშნავს: „წითელი წარწერა“ (გერმანულს ენაზე—„როტ“ ჰნიშნავს წითელსა და „შილდ“—წარწერას). ასეთი უცნაური გვარი იქიდამ ეწოდა, რომ იმ სახლს, სადაც ამშელის საცხოვრებელი ბინა და პაწია დუქანი იყო, წითელი წარწერა ჰქონდა.

ამშელს პაწია, ძლიერ ღარიბი დუქანი ჰქონდა გაღებული და ძვირად საშოვარ ძველს ნივთებსა და ძველს ფულებს ჰყიდდა. თვით დუქანში ხშირად ვერა ჰნახავდით ამშელსა ან-კი რა გაეკეთებინა იქ? საქონელი ისეთი არა ჰქონდა, რომ მუშტარს თავი მოებეზრებინა. მუშტარი თითონვე უნდა ეძებნა, და აი გამოჰკრავდა ამშელი მთელს თავისს სიმდიდრეს ერთს პატარა ბოხჩაში, წამოიკიდებდა ზურგზე, დადიოდა სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ და ზოგან ჰყიდდა, ზოგან ჰყიდულობდა.

დიდი განძი არ იყო გამოკრული ბოხჩაში, მაგრამ რაც იყო, ხომ იმასაც გაფრთხილება და შენახვა უნდოდა. და ამშელი რომ მეტად გაფრთხილებული, წინ - დახედული კაცი იყო, ამას აშკარად გვაჩვენებს შემდეგი ამბავი.

ერთხელ ამშელს გზაში შეხვდა თავისი თანამოძმე, რომლის ბედნიერებას შეჰნატროდა. არ გეგონოთ, რომ ეს თანამოძმე გამოჩენილი კაცი ვინმე ყოფილიყოს, არა, ესეც იმავე საქონელს დაატარებდა სოფელ-სოფელ და ჰყიდდა, რასაც ამშელი, მხოლოდ განსხვავება ამათ შორის ის იყო, რომ ამას ვირი ჰყავნდა და ვირით დაჰქონდა საქონელი, ამშელს-კი ამ ბედნიერემდე ჯერ ვერ მიეხწია.

ამხანაგმა ამშელს თავაზიანობა გაუწია და უთხრა: შენი ბოხჩაც ვირს აჰკიდე, შეღავათი მოგეცემაო. ამშელმაც მოიხსნა ბოხჩა, გადაჰკიდა ვირსა და გაუდგნენ ლაპარაკით გზასა. მიადგნენ ერთს ღრმა ხევს. ხევზე ხიდი იყო გადებული. დაინახა თუ არა ეს ხიდი, ამშელმა მაშინვე ხელი დაავლო თავისს ბოხჩას და უთხრა ამხანაგს:

— მაგ ხიდს ვერც მე ვენდობი, ვერც ჩემს ბოხჩას ვანდობო. შენც გირჩევ თავი დაანებო და სხვა გზას მოვუაროთ.

ამხანაგმა მასხარად აიგდო ამშელი, მშიშარა ჰყოფილხარო,—ვირი გაიგდო წინ და გასწია. ჯერ შუა ხიდზე არ იყვნენ მისულნი, რომ ხიდი ჩაწვა და ვირი თავისის პატრონით თან ჩაჰყვნენ.

**

1743 წელს იმავ ქალაქს ფრანკფურტში და იმავ „ურიების ქუჩაზე“ დიდი ამბავი მოხდა: ამშელს ვაჟიშვილი ეყოლა.—გასაკვირველი აქ, მართალია, არაფერია, მაგრამ ეს ამბავი რომ არ მომხდარიყო, დღეს ხომ როტშილდებიც აღარ იქმნებოდნენ!—ასე თუ ისე, ქვეყანას შეემატა ერთი პატარა ურია, რომელსაც მერვე დღეს ამოუშლელი ბეჭედი დაასვეს, ნიშნად იმისა, რომ მოსეს რჯულს ეკუთვნის და უნდა ეკუთვნოდეს სამუდამოდ, და სახელად მეიერი უწოდეს.

მშობლების ნატვრა ის იყო, რომ იმათი პატარა მეიერი რაბინი გამოსულიყო და, მოიზარდა თუ არა, რჯულის სწავლება დააწყებინეს. მაგრამ მეიერი პატარაობისას მეტად ხშირად ჰხედავდა ოქროსა და ვერცხლს, როდესაც ამშელი შინ დაბრუნდებოდა, ბოხჩას გადაჰშლიდა და თვლას დაიწყებდა ხოლმე. პატარა მეიერს სულ სხვა გვარი მადა და გემოვნება გაეხსნა და, როდესაც კარგად მოიზარდა, ებრაულ ღვთის-მეტყველებასაცა და რაბინობასაც ბანკი ამჯობინა.

ბანკის უფროსებმა მალე შეამჩნიეს ნიჭი მეიერს და კარგი ადგილიც მისცეს. მაგრამ თვით მეიერი დიდხანს არ დარჩა. თავი თავს მოუყარა თუ არა ცოტაოდენს ფულს, მაშინვე სამსახურს თავი დაანება და თავისის მამის ხელობას შეუდგა. ჰყიდულობდა და ჰყიდდა ძველს ფულებს, ძვირფასს ნივთებს და ოქრო-ვერცხლეულობას. ფულსაც აძლევდა სესხად და, რასაკვირველია, არა კაცთ-მოყვარეობისათვის. უგირაოდაც არავის ენდობოდა. როდესაც დაინახა, რომ ეს საქმე დიდს მოგებას იძლეოდა, სხვას ყველაფერს თავი დაანება და მარტო ამას მიჰყო ხელი.

დიდხანს არ გაუვლია, რომ მეიერმა თავისი საკუთარი ბანკის კანტორა დააარსა, და მალე საქმის მცოდნის, მოხერხებულისა და იშვიათის პატიოსნების კაცის სახელი გაითქვა. მეიერს ყველა ენდობოდა, ასე გასინჯეთ, რომ თვით ჰესენის, გერმანიის

ცერტი, რომელსაც ჰმართავს ქართული დრამატიული საზოგადოება. ამ საზოგადოების კონცერტები და ბალები ყოველთვის საკმაო ხალხს იწვევს და ამიტომ მოსალოდნელია, რომ საზოგადოება წრევანდელს კონცერტსაც არ დასტოვებს უყურადღებოდ.

*** ამავე დღისათვის დანიშნულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წლიური საერთო კრება.

*** გუშინ, 18-ს ნოემბერს, დილის შვიდს საათსა და ნახევარზე, ქალაქში გარდაიცვალა ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი ზისერმანი.

*** **ლეჩხუმიდგან** გვწერენ: წარსულის თთვის დამლევს ლეჩხუმიდგან წავიდა ვ. ა. მრევლიშვილი, აქაური მომრიგებელი-მოსამართლე, რომელმაც აქ ცხრა წელიწადი იმსახურა. აქედგან ბ-ნი მრევლიშვილი გადაიყვანეს ახალ-სენაკში იმავე თანამდებობაზე. ბ-ნმა მრევლიშვილმა იმდენი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა აქაურის საზოგადოებისა, რომ იმისმა აქედგან წასვლამ ყველას გული დასწყვიტა. ნიშნად პატივისცემისა საზოგადოებამ და მოხელეობამ სადილი გაუმართა და გააცილა ისე, როგორც ყველასაგან პატივცემულს კაცს შეჰფეროდა.

*** 17-ს ნოემბერს, პირველს განყოფილებაში, ოლგას ქუჩაზე, აზნაურს ნიკოლოზ გორლენკოს (მეარღანეა) ჩხუბი მოსვლია შორაპნის მაზრის მცხოვრებ იოსებ გურგენიძესთან და მუცელში დაუჭრია დანით სამს ადგილას. ჭრილობა იმდენად მძიმე ყოფილა, რომ გურგენიძე, სამკურნალოში მიუტანიათ თუ არა, გარდაცვლილა. იმავე დროს გორლენკოს სუბუქად დაუჭრია ტფილისის მცხოვრები ნესტორ მილოვაროვი. დამნაშავე შეუპყრიათ და გამოძიება სწარმოებს.

## ანგარიში

ქართულის დრამატიულის საზოგადოების მოქმედებისა წარსულ სეზონის განმავლობაში.

როგორც პირველს წელიწადს ჩვენის გამგეობისას, ისე მეორე წელს, ე. ი. შარშან, ჩვენს უმთავრესს ზრუნვას შეადგენდა წარმოდგენების გამართვა. მხოლოდ თეატრის გადაკეთების გამო წარმოდგენები ვერ გაიმართა ქრისტეშობისთვის ადრე და ამის გამო სეზონი გაგრძელდა მხოლოდ ორ თთვე ნახევარი (16 დეკემ.—28 თებერ.). სეზონის განმავლობაში სულ 13 წარმოდგენა იყო და ერთი წარმოდგენაც დიდ-მარხვის შემდეგ (მაისში). მმართველობას განზრახვა ჰქონდა თეატრისათვის შეეჩვია ჩვენი საზოგადოება გაზაფხულობითა და ზაფხულობითაც, მაგრამ პირველშივე წარმოდგენამ, დიდ-მარხვის შემდეგ, დაამტკიცა ამ საქმის შეუძლებლობა. თუმცა ამ წარმოდგენაზე დადგმული იყო ახალი პიესა საზოგადოებისაგან მოწონებულ ავტორისა და ამ პიესაში იღებდა მონაწილეობას მთელი დასი, მაინც საზოგადოების ზარალმა ამ სალამოს რვა თუმანს მიაწია და მმართველობამ გადასწყვიტა წარმოდგენების გამართვა არა ადრე ენკენისთთვის ნახევრისა.

შარშანდელი დასი შემდგარი იყო შემდეგ მოთამაშეთაგან: ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, ლეონიძისა და თამაროვისა; ბ-ნნი აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, ხუციშვილი, მაქსიმიძე და კანდელაკი. ხშირად იღებდნენ მონაწილეობას: ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, ავალოვისა; ბ-ნი კ. ყიფიანი და სხვ. რეჟისორობის ნაწილი ებარა პირველ ხანს ბ-ნს მიხ. ყიფიანს და როცა მან დაანება თავი რეჟისორობას, წარმოდგენების გამართვა მმართველობამ მიანდო თავისს წევრებს: ბ-ნ დავ. ერისთავს, ვ. თუმანიშვილს და ვ. სულხანიშვილს.

დასის გასაძლიერებლად მმართველობამ გაზეთის საშუალებით გამოიწვია სცენის მოყვარენი, რამეთუ წარმოდგენებში მონაწილეობა მიეღოთ და ამ გვარად თავიანთი სასცენო ნიჭი გამოეჩინათ. ამის გამო აღმოჩნდა რამდენიმე კაცი, რომელთაც გამოაცხადეს დასში შესვლის სურვილი. მმართველობამ მათთვის შარშან შემოდგომას ათიოდეჯერ რეპეტიცია გამართა ნიჭის გამოსაცდელად და ორი მათგანი მიიღო კიდეც დასში (ბ-ნი ხუციშვილი და კანდელაკი). მაგრამ მმართველობის მეტის იმედი ჰქონდა და ის კიდეც სცდილობს ახალთ მოთამაშეთა მოპოვებას. მხოლოდ დრამატიულ კლასების გასახსნელად, რომელიც-კი უშველიდა ამ საქმეს, მმართველობას საჭირო ღონისძიება არა ჰქონდა.

ზემოხსენებულს 14 წარმოდგენაში ნათამაშევი იყო 25 პიესა; ამათში ორი პირველად: „ციმბირელი“, ოთხ-მოქმედებიანი კომ. ა. ცაგარლისა, და „ქაჩუა“, სახალხო ვოდევილი თ. რაფ. ერისთავისა. 12 ისეთი პიესა იყო წარმოდგენილი, რომელიც წინა წელს არ ეთამაშნათ: «გაყრა» გ. ერისთავისა (ამ პიესით გაიხსნა ბანკის ახალი თეატრი), «მზის დაბნელება» ანტონოვისა, „თამარ-ბატონიშვილი“ კ. მესხისა, „გემრიელი ლუკმა“, დავ. ერისთავისა, „ქარაფშუტა“ სარდუსი, „ორი ობოლი“ დენნერისა, „ორს ცეცხლს შუა“ ჟირარდენისა, „პარიჟელი ბიჭი“, „საძაგელი“, „რაინდი გულ-მართალი და უშიშარი“ (ოპერეტა), «ბიძიასთან გამოხუმრება» რაფ. ერისთავისა და «დატრიალდა ჯარა». ამათ გარდა წარმოდგენილი იყო 11 ისეთი პიესა, რომელიც მოწონებულ იქმნა მაყურებელთაგან წინა წელს, ე. ი. «თამარ-ცბიერი» აკ. წერეთლისა, „შეშლილია“ (ნათარგმნი), „ხათაბალა“ გ. სუნდუკიანცისა „დაქცეული ოჯახი“ მისივე, „ხანუმა“ ა. ცაგარლისა, „ბაიყუში“ მისივე, „ოინბაზი“ მისივე, „ბაქი-ბუქი“ ან. თუმანიშვილისა, «ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ» რაფ. ერისთავისა, «გულმა იგრძნო» და „სუსტი მხარე“. ამათში სულ 11 ორიგინალური პიესაა და 14 გადმოკეთებული და გადმოთარგმნილი.

რეპერტუარის შევსებისათვის რაოდენიმე მნიშვნელობა ექმნებოდა პრემიების დანიშვნასა და ავტორების დაჯილდოვებას, მაგრამ, სამწუხაროდ, დრამატიულს საზოგადოებას ღონისძიება არა აქვს პირველის ზომისათვის და მხოლოდ ორ გვარად აჯილდოვებს პიესების ავტორს: ან წარმოდგენიდამ მცირეოდენს რამე პროცენტს აძლევს, ან წარმოდგენას ჰმართავს იმის სასარგებლოდ. მაინცა და მაინც რეპერტუარის სიღარიბე არ არის, მმართველობის აზრით, ერთად-ერთი უმთავრესი ნაკლულევანება ჩვენის სცენისა. მმართველობის ხელშია ბევრი იმისთანა აზრიანი და სცენისთვის მოსახდენი პიესა, ნათარგმნი და გადაკეთებული, რომელთაც დიდი ხანია არ უნახავთ ქართული თეატრი და ვერც ჰნახავენ ჩქარა, რადგან ქართულს დასში ვერ მოიპოვება საკმაო ძალა. მეტად და მეტად საგრძნობელია დრამატიულ აქტრისის უყოლობა, რის გამოც თითქმის ვერც ერთი ნამდვილი კომედია, ან დრამა ვერ მოხერხდება სცენაზე.

(დასასრული იქნება)

## ჭორი

ანუ

„ხმა ღვთისა და ხმა ერისა“

ისპანიელი პოეტი და დრამატურგი ეჩეგარაი იმასვე ამბობს, რასაც სთქვა მეცნიერმა იერინგმა. გარჩევა მხოლოდ ის არის, რომ მეცნიერის ლაპარაკი ადამიანის გონებაზე უფრო მოქმედობს, ხოლო პოეტის ლაპარაკი უფრო გულს ესმის. ასეც უნდა იყოს. პოეტის ენა თვით ცხოვრების მაგალითებია, სურათებია, თვით ცხოვრებაა და ადამიანის თვალ-წინ წარმოდგენილი ცხოვრება, მერე ისიც დრამის შემწეობით, რასაკვირველია, უფრო გულზე მოქმედობს, გრძნობას ელაპარაკება, ვიდრე გონებას, ჭკუას.

იმ დრამას ეჩეგარაისას, რომელშიაც გამოთქმულია აზრი ჭორის გამო, ეწოდება „En gran Galeoto“, ანუ „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“. აზრი დრამისა ის არის, რომ კაცი ფრთხილად უნდა ექცეოდეს ჩვეულებას, არ ივიწყებდეს, რომ ზოგიერთს წვრილმანს წესსაც, საზოგადოებაში მიღებულსა და შეწყნარებულს, შესრულება უნდა. ვინც მოუფიქრებლობით, ანუ სხვა მიზეზით არ დაიცავს რომელსამე წესს, ადვილად შესაძლოა გაუბედურდეს, თუმცა ცამდინაც მართალი იყოს.

ისპანიელებს შინა ცხოვრებაში ჰქონიათ ერთი ბრძნული ჩვეულება, ადათი, ანუ, უკეთ ესთქვათ, ანდაზა. ეს ანდაზა ჩვენებურად რომ ესთქვათ, ასე უნდა ვთარგმნოთ: «შორს მოუარე და შინ მშვიდობით მიდი», ანუ „სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“. აი ეს ბრძნული ანდაზა, ეს ჩვეულება და წესი დაჰვიწყებიათ სრულიად ეჩეგარაის დრამაში მომქმედებსა. ეს მომქმედნი უმთავრესად სამნი არიან: მდიდარი ვაჭარი, დონ-იულიანი, ესე ორმოცის წლისა, იმისი ლამაზი ცოლი, თეოდორა, ოცის წლისა, და ყმაწვილი, ოც-და-ხუთის წლის კაცი ერნესტი, შვილი დონ-იულიანის გარიბებულის მეგობრისა. მდიდარს ვაჭარს იულიანს უთქვამს თავისს გულში: ჩემმა მეგობარმა დიდი სიკეთე დამდო, ახლა ღარიბია და გასაწყლებული, მოდი ავიყვან იმისს შვილს და ჩემთან ვიყოლიებ, მადლს ვუზამო. ის-კი აღარ იფიქრა იულიანმა, რომ შეიძლებოდა მადლი მატლად გადაჰქცეოდა; შეიძლებოდა ყმაწვილი კაცი უსაქმურობისაგან მუქთა-მჭამლო-

---

პატარა სახელმწიფოს, მბძანებელმა ვილჰელმმაც-კი მეიერს აბარა თავისი ფულები, თუმცა ვილჰელმი ძლიერ ფრთხილი და ხელ-მოჭერილი კაცი იყო. და არც მოსტყუვდა, მეიერმა დიდი სამსახური გაუწია. ეს რომ არა ყოფილიყო, ვილჰელმს შესაძლოა ერთს დღეს სრულებით დაეკარგა მთელი თავისი სიმდიდრე, და აი რის გამო.

ნაპოლეონს, როგორც მოგეხსენებათ, ხანგრძლივი ომი ჰქონდა ინგლისთან და ვერა გაეწყო-რა,—ინგლისს ბევრი ჰშველოდა ჩუმად. ნაპოლეონმა შეიტყო, რომ, სხვათა შორის, ჰესენის მფლობელიც ჯარებს აშველებდა ინგლისს, ამ სამსახურისათვის დიდს ფულს ართმევდა და სულ თავისს ჯიბეში ილაგებდა. ამ ამბით განრისხებულმა ნაპოლეონმა უბრძანა წაერთოთ ვილჰელმისთვის მიწა-წყალი, მამულები და ყველაფერი, რაც-კი რამ მოეპოვებოდა.

შენს მტერს რომ ვილჰელმს დღე დაადგა. მიწა-წყალს ხომ აღარა ეშველებოდა-რა და არა,—ეს ეხლა მხოლოდ იმას-ღა სცდილობდა, რომ ფული მაინც დაემალა როგორმე. მეიერმა იხსნა ვილჰელმი ამ გაჭირებისაგან. მეიერის სინიდისსა და პატიოსნებას მიენდო ვილჰელმი და 50 მილიონამდე ფული გადასცა შესანახად. მეიერმა ფულიც გადაარჩინა და პატიოსნებაც გამოიჩინა. ზოგნი ამბობენ, ვითომ ფული თავისს ბაღში ჩაფლა მეიერმაო და თავისი საკუთარი სახლი-კი აკლებინა, რადგან ნაპოლეონის ჯარებს ეგონათ, რომ ფული სახლში ექმნება შენახულიო. სხვები კიდევ ამბობენ, ვითომ მეიერმა მოასწრო და ფული ლონდონში გაუგზავნა თავისს შვილსაო. ასე თუ ისე, როდესაც შიშიანობამ გაიარა, ვილჰელმს თავისი ფული ისევ უკან დაუბრუნა მეიერმა, ხოლო, რასაკვირველია, გასამრჯელოში კარგი მადიანი ლუკმა ერგო თვით მეიერსაც.

ნაპოლეონმა მაინც დიდი სამსახური გაუწია როტშილდის გვარეულობას. აქ ზემოდ ნაამბობი ხომ ერთი მაგალითია, და აი მეორეც.

**

ნაპოლეონისაგან დამარცხებულს ისპანიას ინგლისმა ჯარები მიაშველა. ამ დროიდამ დაწყებული რვა წლის განმავლობაში ომი არ შეწყვეტილა ნაპოლეონთან. ინგლისის მთავრობამ აუარებელი ფული დახარჯა ამ ომში და მთელმა ამ დიდ-ძალმა ფულმა მეიერის ხელში გაიარა, რადგან ეს იყო მთავრობისაგან მინდობილი კაცი და ამას უნდა ეძლია ფული ჯარის უფროსისათვის, მარტო ამ ერთს საქმეში როტშილდმა თორმეტი მილიონი ოქრო შეიძინა.

მეიერ როტშილდი გარდაიცვალა 1812 წელსა და შვილებს, დიდის შეძლების გარდა, ასეთი ანდერძი დაუდო: „მოსეს რჯულს არასოდეს თავი არ დაანებოთ, ყოველთვის ერთმანეთს მხარი მიეცით და არა საქმეს არ შეუდგეთ, ვიდრე დედა თქვენს რჩევა არა ჰკითხოთ. თუ ამ სამს მცნებას არ გადახვალთ, სიმდიდრეში არავინ შეგედრებათ და მთელი ქვეყანა ხელში გეჭირებათ“.

მეიერ როტშილდი სწორედ დაბადების მამათ-მთავარს იაკობს გვაგონებს,—ისიც ასეთს დარიგებას აძლევდა თავისს შვილებს სიკვდილის წინ. მეიერის შვილებმა მტკიცედ აღასრულეს მამის ანდერძი და, მართლაც, მთელი ქვეყანა თუ არა, მთელი ევროპა-კი დაიყვეს: ანსელმი ფრანკფურტშივე დარჩა, სოლომონი ვენაში დასახლდა, კარლი იტალიაში, ჯემსი პარიჟში და ნატანი ხომ წინადვე ლონდონში იყო წასული და იქვე დარჩა კიდეც.

ძმებში ყველაზე ნიჭიერი და მოხერხებული ნატანი გამოდგა. ინგლისის ბანკირები თითონაც გამოცდილები და ბანკის საქმეების მცოდნენი იყვნენ და ამიტომაც დიდს ყურადღებას არ აქცევდნენ „ფრანკფურტის ბანკირის შვილს“, როგორც ნატანს იხსენიებდნენ. მაგრამ როდესაც ნატანმა ისეთი ხერხი და უნარი გამოიჩინა, რომ ხუთის წლის განმავლობაში თავისი დიდ-ძალი ფული ორი ათას ხუთასჯერ დაატრიალა და აუარებელი სარგებელი აიღო, მაშინ-კი ყველამ ყურები სცქვიტა და ახალს ბანკირს სხვა თვალით დაუწყო ყურება. და როდესაც ნაპოლეონი სრულიად დაეცა, მაშინ ხომ ნატანმა პირველი ადგილი დაიჭირა ფულის პატრონებს შორის.

ნაპოლეონი, როგორც ზემოდაც ვსთქვით, სწორედ რომ ბედის ვარსკვლავად გადიქცა როტშილდებისათვის. ნატანის მამას ხომ დიდხანს უნათებდა და აი დღეს ერთხელ კიდევ აღმობრწყინდა და ნატანს თავზე დაადგა. აი საქმე როგორ იყო.

გეცოდინებათ, რომ დატყვევებული და ელენეს კუნძულზე დაპატიმრებული ნაპოლეონი გამოიქცა და საფრანგეთში გაჩნდა ხელ-მეორედ. ამ ამბავმა შესძრა მთელი ევროპა და ბანკის ბილეთების პატრონებს ხომ შიშის ზარი დასცა: ომი ასტყდებოდა და სარგებლიანი ქაღალდები სრულიად ფასს დაჰკარგავდა.

ნატანსაც არ იამა ეს ამბავი, მაგრამ მაინც არა სჯეროდა, რაც საფრანგეთიდამ ხმები ისმოდა. ბევრი აღარ იფიქრა, დაჰკრა ფეხი და ბელგიაში წავიდა, რომ თავად დასწრებოდა იმ ომს, რომელიც ნაპოლეონსა და ინგლისს შორის უნდა მომხდარიყო. მოგეხსენებათ, რითაც გათავდა ეს ომი, ნაპოლეონი სრულებით დამარცხდა. ნატანი თავისის თვალით მნახველი და მოწამე იყო ამ დამარცხებისა. და აი წამიც არ დააყოვნა და ლონდონში გაიჩქარა, თუმცა ძლიერ საფრთხილო და საშიშო იყო, რომ ასეთს დროში გაებედნა ადამიანს მარტო სიარული. ყოველს ნაბიჯზე მოსალოდნელი იყო, რომ მტერი დაჰხვდებოდა, და ამ დროში ადამიანს ვილა ინდობს...

ნატანი როგორც იყო ლონდონს მივიდა. აქ ჯერ არაფერი იცოდნენ ნაპოლეონის დამარცხებისა. იცოდა ეს ამბავი მხოლოდ ნატანმა, მაგრამ, რასაკვირველია, ხმას არ იღებდა. პირ-იქით, დაღვრემილი, ჩაფიქრებული დადიოდა და თავისის ბანკის ქაღალდებს ძალიან ნაკლებ ფასად ჰყიდდა. სხვებმაც იფიქრეს,—სწორედ ნატანს ცუდი რამ ამბავი გაუგია,—არიქა, დავიღუპენითო. ერთი ალიაქოთი შეუდგათ და ბანკის ბილეთები თითქმის სულ უფასოდ გადაყარეს.

ნატანსაც მხოლოდ ეს უნდოდა,—რამდენიმე ერთგული კაცი მისყიდული ჰყავნდა და სხვა ამისი კაცები თუ ამისს ბილეთებსა ჰყიდდნენ, ესენი პირ-იქით ამისთვისვე ერთი-ორად და სამად მეტს ბილეთებს ჰყიდულობდნენ. ამბობენ, რომ ნატანმა მარტო ერთს დღეს ათი მილიონი შეიძინაო.

**

დამარცხდა ნაპოლეონი და ევროპამაც შეისვენა, თავისუფლად ამოისუნთქა. იაფად არ დაუჯდათ ევროპის დიდს სახელმწიფოებს ამ ერთის კაცის დამორჩილება. მარტო ერთმა ინგლისმა ცხრა ათასი მილიონი ფული დახარჯა. სხვა სახელმწიფოებმაც მიიხედ-მოიხედეს, გასინჯეს თავიანთი ხაზინები და ნახეს, რომ ყელამდე ვალებში ჩამსხდარან. ვალი ხომ ვა-

ბას დაჩვეულიყო და ვინ იცის, მერე რა ჭირი და ბოროტება არ დაისადგურებდა იმისს გულსა და გონებაში. ჯერ ამაში წააგო ჭკუა დონ-იულიანმა და მერე კიდევ იმაში, რომ, მართალია, სამაგიეროდ სიკეთე უნდოდა გადაეხადა მეგობრისათვის, მაგრამ ის-კი აღარ ახსოვდა, რომ საზოგადოება არ შეიწყნარებდა ერთ ჭერს ქვეშ ყოფნას უსაქმურის ყმაწვილის კაცისას და იმისის ლამაზის ცოლისას.

საზოგადოებამ მართლია არც შეიწყნარა. სულ ერთმა წელიწადმაც არ გაიარა, რომ ენამ დაიწყო ტრიალი, ჭორმა იჩინა თავი, გაძრიელდა მითქმა-მოთქმა და მთელს ქალაქს რირი-რირი გაჰქონდა. ჭორისა და მითქმა-მოთქმის მიზეზი ის იყო, რომ უსაქმური ყმაწვილი კაცი ყველგან გვერდით ახლდა თავისს მფარველისა და კეთილის-მყოფელის ცოლს; სეირნობა იყო, თუ თეატრში სიარული, ყველგან ისინი ერთად იყვნენ. ენაც მიუტანეს დონ-იულიანს: ასე და ისეო, მითქმა-მოთქმააო; ღმერთმა ხომ იცის, დასაჯერი არ არის, მაგრამ მაინც სიფრთხილეს თავი არა სტკივა, უსიამოვნობას ერიდეთო. ამ გაფრთხილებას ყური არავინ ათხოვა. ერთს მშვენიერს დღეს თეოდორამ იგრძნო, რომ ერნესტოს ამაოდა სთვლის თავის მეგობრად, რომ მათ შორის მეგობრობის გრძნობა-კი არ არის, არამედ გრძნობა სიყვარულისა, აღგზნებულის, მწველის სიყვარულისა. ერნესტოც მიხვდა ამასა და გადასწყვიტა, რომ განშორებოდა დონ-იულიანის სახლს. ამ ამბავმა ცოტა არ იყოს შეაფიქრიანა დონ-იულიანი, თუმცა იჭვიანობა-კი მაინც არ გაჰღვიძებია. ერნესტო მაინც მიდის ამ სახლიდამ და რამდენსამე თთვეს ანებებს თავს იმ ქალაქს, სადაც ასეთი ცეცხლი მოეკიდა. მიდის-კი, ჰშორდება-კი, მაგრამ ეს განშორება ბევრს არას ჰშველის: ქალაქშიაცა და ქალაქ გარედაც ყველა ჭორიკანაობს ლამაზის თეოდორას გამო. ასეთი ჭორიკანაობა თვით ერნესტოსაც გააგონეს ყურში სადღაც სასტუმროში. ერნესტომ ეს ვერ მოითმინა და ხმალში გამოითხოვა თეოდორას შეურაცხმყოფელი. ერნესტოს დაავიწყდა, რომ ეს იმისი საქმე არ იყო. ამ ამბავმა დონ-იულიანამდიც მიაღწია. დონ-იულიანი ახლა-კი დიდს საგონებელში ჩავარდა. იფიქრა: თუ აქ სიყვარული არ არის, ხმალში ვის რად გამოითხოვდა, რაო ჩემოვო; ხმალში გადიან მხოლოდ იმ დედაკაცისათვის, ვინც უყვართო. მყორეცა: ჩემის სახელის დაცვა უპირველეს ყოვლისა ჩემი საკუთარი საქმეა და არა სხვისაო. ამის გამო დონ-იულიანი თვით ითხოვს ხმალში თავისს მეუღლის შეურაცხმყოფელს. ამავე დროს თეოდორაც ივიწყებს ყოველ გვარს წესსა და ჩვეულებას, მიდის ერნესტოს სანახავად და უნდა გადაარჩინოს როგორმე თავისი საყვარელი კაცი მოსალოდნელს უბედურებას. ლაპარაკში ორივეს ეტყობა, რომ უყვართ ერთმანეთი, იწვიან ერთმანეთისათვის და ენაზე საალერსო, სამიჯნურო სიტყვები უტრიალებთ. სწორედ ამ დროს მოჰყავთ დუელში დაჭრილი ქმარი თეოდორასი, რომელიც იმალება ოთახის მოფარდაგებულს კუთხეში. მარტო ეს გარემოებაა საკმაო, რომ ნახევრად მაინც დამტკიცდეს თეოდორას ღალატი. დაჭრილი ქმარიც უნდათ მოფარდაგებულში დააწვინონ. თეოდორა გამოდის და პირდაპირ ქმარს შეეყრება. დონ-იულიანს კიდევ არა სჯერა თეოდორას ღალატი და ეუბნება ცოლსა და ერნესტოს, დაიჩოქეთ და ისე შეჰხედეთ თვალებში ერთმანეთსაო. დონ-იულიანს უნდა თვალებზე შეატყოს, მეგობრობაა მათში, თუ მიჯნურობა. ამათ ერთმანეთს ვერ შეჰხედეს თვალებში. დონ-იულიანი უყვირის: ახლა-კი ვხედავ, რომ თქვენ ერთმანეთი გყვარებიათო. დაჭრილი იულიანი წამოვარდება და ეცემა ერნესტოს: „სისხლი მწყურიან შენი, სისხლიო!“ შეჰყვირებს და იქვე დაეცემა უსულოდ.

რა მოუვათ მერე მიჯნურებს, ამას ავტორი აღარ გვეუბნება: დეე, ვისაც როგორ უნდა, ისე იფიქროსო. ერნესტოს შესახებ-კი არის ნათქვამი, რომ მეორე დღესვე ის უნდა დონ-იულიანის ძმის ანაწერი გახდესო. თეოდორასაც სხვა გზა აღარა აქვს-რა: ან მონასტერში უნდა წავიდეს და ან თავი მოიწამლოს. ასე მოიქცევა, თუ ისე, სიცოცხლე იმისი მაინც გამწარებული უნდა იყოს და მაინცა.

ამ სახით, სამი ადამიანიშვილი ილუპება თავისის მიზეზითვე. სულ უბრალო ჩვეულების უარ-ყოფამ გამოიწვია მრავალი საეჭვო ყოფა-ქცევა. ეს არის თავი და თავი აზრი ეჩეგარაის დრამისა. ეს დრამა ცხადად, მაგალითებით ამტკიცებს მეცნიერის იერინგის აზრს, რომ სასჯელი აუცილებელია იმისთვის, ვინც ყურადღებას არ ათხოვებს საზოგადოებაში მიღებულს წესსა და ჩვეულებას. ყველამ იცის, რომ კანონი არავის არ უკრძალავს, სახლში ნუ შეიყვან ყმაწვილს კაცს, თუნდა მეგობრის შვილიც იყოს, მერე ისეთს, რომელიც მუდამ გვერდს ახლდეს ყმაწვილს დედაკაცსაო. ზნეობაც ვერავის ვერ აუკრძალავს ამას, მეტადრე მაშინ, როცა სიკეთე მინდა გადავუხადო ვისმე და როცა წმინდა მეგობრობის მეტი, გულ-წრფელის ამხანაგობის გარდა, სხვა არა არის-რა ქალსა და კაცს შორის. თუმცა ასეა, მაინც სამივე ისეთს ყოფაში ცვივიან, რომ თუ კანონი და ზნეობა არას ამბობს, საზოგადოება მაინც ჰკიცხავს ასეთის საქციელისათვის. ათასი რომ სთქვათ, შეიძლება წმინდა და გულწრფელი მეგობრობა იყოს ლამაზს ქალსა და ყმაწვილს კაცს შუაო, საზოგადოებას მაინც არა სჯერა ასეთი ლაპარაკი და ჰკიცხავს იმ ოჯახს, სადაც, ხნიერს ქმარსა და ყმაწვილს ცოლს გარდა, ახალგაზდა კაციც ჩაერევა.

გამოცდილი პეპინო, ძმის-წული დონ-იულიანისა ასე გვიხსნის იმ უხერხულს ყოფას, რომელშიაც ჩაცვივდნენ იმისი ბიძა-ძალუა და ერნესტო:

> სულ ბიძაჩემის ბრალია. არა, რა ჭკუაა, ერთ ჭერ ქვეშ, თითქმის ერთად ამყოფოს კაცმა ყმაწვილი ქალი და ისეთი ახალგაზდა, რომელიც თითქო მიჯნურობისათვის არის დაბადებული... ვინც რა უნდა სთქვას, მე მაინც იმას გიტყვი, რომ ბიძაჩემი კარგად ვერ მოიქცა. ის-კი ფიცულობს, რომ სულ ჭორია, მოგონილია, ტყუილია, რასაც ლაპარაკობენ, იმათ შორის ძმურის სიყვარულის მეტი სხვა არა ყოფილა-რაო. მაგრამ მე არა მწამს ეგ ძმური სიყვარული, მეტადრე მაშინ, როცა ძმა და და ისე ყმაწვილები არიან და ერთის დედის ნაშობნიც არ არიან. თუნდა ვსთქვათ წმინდანიც არიან ორივენი. მერე რა იცის საზოგადოებამ, რომ სწორედ ასეა საქმე? განა საზოგადოება მოვალეა ყველაზე მხოლოდ კარგი იფიქროს? მერე ორივენი სულ ერთად დადიან, ერთად სეირნობენ, ხან მერე ქალაქის რომელსამე მიყრუებულს ბაღშიაც-კი? ვსთქვათ, ნახა იქ ვინმე მარტოდ-მარტონი. ნახა, სხვა ხომ არაფერი. მაგრამ რაცა ნახა, მერე იმას სჩვაფრივ გააკრცელებს. ტყუილიაო, —იტყვის ერნესტო,— ჩვენ თითქმის არც ერთხელ არა ვყოფილვართ ერთად მარტონიო! თითქმის არც ერთხელაო! მაშ ყოფილან ხომ მაინც? თუნდ ერთხელ ხომ მაინც ყოფილან. ესა კმარა სრულიად. ვსთქვათ, რომ მაშინ ასმა კაცმა ნახა იმ ერთხელჯერ. ერთი იტყვის: მე ვნახე ისინი ერთხელ მარტოდ-მარტონიო. ახლა მეორე იტყვის: მეცა ვნახე ერთხელაო. ერთი და ერთი, ეს გამოვიდა ორი. ახლა წადი და ისინი ერთმანეთს წაუყენე პირში, და ათქმევინოს, რომ ორივემ ერთს დროს ნახეს და არა სხვა-და-სხვა დროს. მერე მესამე იტყვის: მეცა ვნახეო. ახლა მეოთხე, მეხუთე და წავა და გამოვა, რომ ასჯერ უნახავთ სხვა-და-სხვა დროს მარტონი. გულ-უბრყვილონი და უბოროტონი სთვლიან და ანგარიშობენ: აი რამდენჯერ უნახავთ ერთად მოსეირნენიო. წადით და თვალები დაუხუჭეთ, ან პირი აუკარით ასეთს ხალხს. ვისა აქვს ამისი ნება? არავის. ყველაფერს თავი დავანებოთ, ვსთქვათ წმინდა გრძნობის მეტი მათ შორის არა არის-რა. ეს ვიკარაუდოთ, კაცი თეოდორას გვერდით იყოს მუდამ და არ შეუყვარდეს განა? არა, არა მგონია. დეე, ერნესტო თუნდ ორჯელ მეტად ნასწავლიც იყოს, თუნდ ფილოსოფოსიც იყოს, თუნდ რაც უნდა იყოს, მაინც ადამიანია, ცოდვის შვილია, თეოდორაც ისეთივე ადამიანია და ღმერთი, რჯული ესეც საკმაოა, რომ თივას ცეცხლი წაეკიდოს!

ამაზე ცხადად და ნათლად აღარ შეიძლება გამოითქვას, რა ძნელია, როცა ადამიანი არ უგდებს ყურს საზოგადოებაში მიღებულს წესსა, ჩვეულებას. ესეც განაჩენია, მხოლოდ სასამართლოსი-კი არა, საზოგადოებისა და იგი განაჩენი ამასთანავე დაცვაა ჭორისა და ბოროტის ენებისა. აი ეს განაჩენია ის „En gran Galeoto“, რომელსაც ჩვენში ასე უწოდებენ: „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“. (გაზ. Нов. Вр.)

## წვრილი ამბები

საფრანგეთის აკადემიას ოქროს მენდალი მიუძღვნია რუმინიის დედოფლისათვის, რომლის სალიტერატურო ფსევდონიმი კარმენ სილვაა. ეს ჯილდო დედოფლისათვის წიგნის „Pensées d'une Reine“-ს დაწერის გამო მიუციათ. პირველი პრემია 800 მანათიანი სათნოებისათვის ჰრგებია ქალს Po-ს (Rault). სიულ პრიუდომს თავისს სიტყვაში დაწვრილებით აღუწერია ამ ქალის თავ-გადადებული ცხოვრება და თან შეუდარებია კაცთა კეთილნი საქმენი და ხელოვნების ნაწარმოებნი ერთმანეთისათვის. მქადაგებელს, სხვათა შორის, უთქვამს: „ქალი Po ნამდვილი არტისტი-ქალია ქველ-მოქმედებისა და სამადლო საქმისა. 20 წლისა იყო იგი, როცა მასწავლებლობა დაიწყო. თავისის უმცროსის დის გამოისობით იგი გადასახლდა პარიჟში 1865 წ., მოწყალების დობა იკისრა და უმეტესს ნაწილს თავისის შემოსავლისას ღარიბებზე ჰხარჯავდა. შემდეგ დაიწყო უპატრონო და უთვისტომო ყმაწვილთა ქალთა ზნეობრივად აღზრდა. რვა წლის ამ გვარ მუ-

---

ლად იყო და ფულიც კიდევ უჭირდათ. რა ექმნათ? ხალხისთვის მიემართნათ? ხარჯი კიდევ მოემატებინათ? ხალხი ისეც გატყავებული და დაწიოკებული იყო. ოცი წელიწადი თითქმის განუწყვეტელი ომი სახუმარო საქმე ხომ არ არის! ვის რაღა ძალ-ღონე უნდა შერჩენოდა? მეტი ღონე არ იყო, კერძოდ სადმე უნდა მოეძებნათ და ესესხნათ ფული. ვის შეეძლო ხელმწიფეებისთვის ხელი გაემართა, თუ არ ნატან როტშილდს.

და აი 1818 წლიდამ 1832 წლამდე ნატანმა მისცა სესხად: 100 მილიონი პრუსიას, 50 მილიონი რუსეთს, 25 მილ. ავსტრიას, ამდენივე ნეაპოლიტანის მეფეს, 35 მილ. ბრაზილიას და 25 მილიონიც ბელგიას,—სულ 260 მილიონამდე. აქ არ არის ნაანგარიშევი ის, რაც ინგლისმა ისესხა.

ახლა-კი ჭეშმარიტი ფულის-მეფე გახდა ნატან როტშილდი. ან-კი რითი არ იყო მეფე? განა თვით ნამდვილი მეფეები არ მიდიოდნენ იმასთან სახვეწრად და სათხოვნელად?! ნაპოლეონი თუ ხმლით იმორჩილებდა მეფეებს, ნატანმა ფულით დაიმორჩილა, და ხომ მოგეხსენებათ, რომ დღეს ფული უფრო ძლიერ სჭრის, ვიდრე ხმალი...

ნატანი ძლიერ შორს წავიდა: ამის გაძლიერებამ თვით ინგლისის სახელმწიფო ბანკიც-კი დააფიქრა. „როგორ? ვიღაც როტშილდი მხარში გვიდგებაო, ჩვენთან თანასწორობას ჰფიქრობსო“,—ამბობდნენ ამ ბანკის დირექტორები:—„არა, უნდა ცოტა ფრთები ჩამოვაკვეცოთ, თორემ ძალიან მაღლა აპირებს აფრენასაო“.

ასე ემუქრებოდნენ და საქმით-კი მხოლოდ ისა ჰქმნეს, რომ ნატანის ძმას ანსელმს, ფრანკფურტის როტშილდს, ბანკის ბილეთები ოქროზე არ დაუხურდავეს სახელმწიფო ბანკში.

— სახელმწიფო ბანკი მხოლოდ თავისს საკუთარს ბილეთებს ახურდავებსო და არა კერძო კაცებისასაო,— უპასუხეს ანსელმ როტშილდს.

— კერძო კაცებიო! კარგი და მაშ მე ვაჩვენებ, როგორი კერძო კაცებიც არიან როტშილდებიო!—სთქვა ნატანმა, როდესაც ამას ძმის ამბავი უთხრეს.

არ გაუვლია ამის შემდეგ სულ სამს კვირას, რომ ნატან როტშილდი თავისის ფეხით მივიდა სახელმწიფო ბანკში, კასირთან, ამოიღო პარკიდგან ერთი ათ-თუმნიანი ბანკის ბილეთი და სთხოვა, ოქროზე დაეხურდავებინათ. მანამ კასირი ოქროს დასთვლიდა, ნატანმა პირველ ბილეთს მეორე მიაყოლა, მეორეს მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეათე... ერთი პარკი რომ დაცალიერდებოდა, ცალიერს პარკს თავისს კაცს გადასცემდა და სამაგიეროდ სხვას ბილეთებით სავსეს ართმევდა. ასე ახურდავებდა, ვიდრე კასა დაიკეტებოდა. 7 საათამდე მაინც მარტო ოცი ათასის თუმნის დახურდავება მოასწრო. ცხრა როტშილდის კაცი ამ გვარადვე დანარჩენ კასირებთან ახურდავებდნენ ბილეთებს.

დირექტორები ჰკვირობდნენ, ნეტავი ამით რა ჰსურს როტშილდსაო, და დასცინოდნენ:—რაო, ვითომ სახელმწიფო ბანკი უნდა ამით შეაშინოსო!? დირექტორებს თუ არ ესმოდათ, თვით როტშილდს კარგად ესმოდა, რასაც სჩადიოდა.

მეორე დღესაც მოვიდა როტშილდა, იმ გვარადვე ახურდავა ბილეთები, როგორც წინა დღეს, და აქვე ერთს თავისს მეგობარს უთხრა:

— სახელმწიფო ბანკის ბატონებს არა ჰსურთ როტშილდების ბილეთები,—არც მე მსურს მაგათი ბილეთები შევინახო. იმედი მაქვს, ორს თთვეს გავათავებ და სრულებით დავახურდავებ, რაც ჩემს ხელში მაგათი ბილეთებია.

ეხლა ჩაფიქრდნენ ბანკის დირექტორები:

— ერიჰა, ეს აღარა ჰხუმრობსო! ორი თთვე ადვილი სათქმელია! ორს თთვეში ასი მილიონი ოქრო უნდა მივსცეთ,—სხვა რომ არა იყოს-რა, ბანკის მოხელენი სულ ამ ერთს საქმეს მოუნდებიან! სხვას რაღა პასუხი გავსცეთ...

მეტი ღონე არ იყო, უნდა თითი მოეკაკვნათ, ბოდიში მოიხადეს როტშილდის წინაშე და უთხრეს, რომ დღეის იქით თქვენს ბილეთებსაც ისე მივიღებთ ბანკში, როგორც ჩვენს საკუთარსაო.

**

რამდენჯერ თქმულა, რომ მარტო სიმდიდრე ბედნიერებას ვერ მისცემს კაცს. აი ერთი მაგალითი კიდევ თვალ-წინა გვაქვს. ნატან როტშილდი, რომელსაც ამოდენა აუარებელი შეძლება ჰქონდა, კიდევ ბედს ემდურებოდა და თავისს თავს უბედურადა სთვლიდა. ქვეყანა სძულდა, არავისზე ნდობა არა ჰქონდა. თუ სიკეთეს უზამდა ვისმე, უთუოდ ეცდებოდა, რომ თან ეწყენინებინა, რამით გული ეტკენინებინა.

ნატან როტშილდი გარდაიცვალა 1836 წელს. ყველა მოუთმენლად მოელოდა, შეეტყო, რა სიმდიდრე დაუტოვა თავისს მემკვიდრეებს ნატანმაო, მაგრამ ვერაფერი შეიტყეს, რადგან იმისი უკანასკნელი სურვილი იყო, რომ ეს მხოლოდ ძმებსა და შვილებს სცოდნოდათ.

ნატანის შვილმა ლაიონელმა მტკიცედ შეითვისა მამის დარიგება, რომელიც არა ერთხელ ეუბნებოდა სიცოცხლის დროს: თუ სიმდიდრის შეძენას დიდი ჭკუა, გამბედაობა და წინ-დახედულობა უნდა, ერთი-ორად უფრო მეტი ჭკუა და წინ-დახედულობა საჭირო, რომ ადამიანმა შეძენილი შეინახოსო.

ამის გამო ლაიონელმა თავი დაანება საშიშ და საფრთხილო საქმეებს და მხოლოდ ისეთს საქმეებს მოჰკიდა ხელი, რომელიც, იცოდა, ზარალს არ მოუტანდა. მამის ადგილი თითონ დაიჭირა. საქმეებს კვალში ჩაუდგა და ძმებს-კი უთხრა: თქვენ რაც შეიძლოთ, მდიდრად იცხოვრეთ, ფულს ნუ დაიშურებთ, ქვეყანას თავი აჩვენეთ, მხოლოდ ამით შეგვიძლიან ქვეყანას ცოტად მაინც დავავიწყოთ ჩვენი მდაბიო შთამომავლობაო.

ლაიონელი ძალიან ხელ-გაშლილი კაცი იყო: ამისი ცოლი მალიონობით ჰხარჯავდა სამადლო საქმეებზე. ამითი ლაიონელმა დიდი სახელი, პატივი და სიყვარული მოიპოვა, არა ერთი კეთილი საქმე დაავდო თავის მოსახსენებლად.

არც ინგლისის დედოფალმა დასტოვა უყურადღებოდ ლაიონელ როტშილდი! ამას შვილს ნატანიელს ლორდობა მიანიჭა. ეს მეტად დიდი და ძვირფასი ჯილდოა. როტშილდი პირველი ურიაა, რომელიც ზედა პალატაში ადგილს დაიჭერს, იმ პალატაში, სადაც მხოლოდ ინგლისის პირველ გვარეულობის შვილებსა აქვსთ ადგილი.

როტშილდი და ლორდი ინგლისისა! ინგლისის ამაყი, თავ-მომწონე ლორდი ხელს აძლევს და გვერდს ისვამს ვიღაც უკვარ-ტომო ურიას! მოიფიქრებდა ამას.

საწყალო ამშელ მოზეს! როგორ მოიფიქრებდი ამას, როდესაც ბოხჩით სოფელ-სოფელ დადიოდი და შენს ამხანაგს შეჰნატროდი, რომ იმას ვირი ჰყავდა და შენ-კი არა!?.

დონ-იაგო

შარბის შემდეგ აიყვანა ერთი დასახიჩრებული ვიღაცა პაწია გოგო და იმ დრომდე უვლიდა და თავს ევლებოდა, ვიდრე ავადმყოფი არ გარდაიცვალა. მშიერთა და უშემწეო დედაკაცთათვის თავისს უკანასკნელს ნივთებს აგირავებდა. სჩადიოდა ამდენს კეთილს და თან ჰფარავდა, ჰმალავდა, თითქო ცოდვა ულოფილიყოს და ჰშიშობდეს, რომ არავინ შემიტყოსო. დასასრულ, ამ საკვირველმა და საოცარმა ქალმა ქუჩაში უკავილთა და ვარდთა დამტარებელ და მყიდველ დედაკაცების უმაწვილები აიყვანა და ზნეობრივის გარყვნილებისაგან იცვავდა და ჰფარავდა. ათი მათგანი უკვე წამოიზარდა და პატიოსანი მშრომელი ქალი შეიქმნა. რათა დრო და მოცალეობა ჰქონოდა, რომ უმაწვილებისათვის დღე ესწავლებინა ხოლმე, იგი ღამე ქოლგებს აკეთებდა, ამითი ირჩენდა თავსა და სხვისთვის-კი არ მიუმართავს და არ გაუშვერია საშემწეოდ ხელი. თითონ იატაკზე იძინებს ღამე, ხოლო პაწია შვილად აყვანილებს-კი თავისს საწოლზე აწვენს. თავისის გმირულისა, ნაყოფიერისა და თავ-გადადებულის სიყვარულისათვის ადამიანთა მიმართო,— დაასრულა თურმე თავისი სიტყვა პრიუდომმა,—იმ ზნეობრივად კარგის გავლენისათვის, რომელიც იმისს საქციელს ჰქონდა მახლობლებზე, იგი ღირსია აკადემიის უმთავრესის ჯილდოსიო“.

— ტურინში განუზრახავთ ლამაზთა ქალთა ჯიბრი გაჰმართონ. ამ ჯიბრის მეთაურებად და გამმართველებად ადგილობრივი არისტოკრატიაა. სილამაზის დამფასებლებად იქმნებიან მხატვარნი და მოქანდაკენი. ამ ხელობაზედ-კი დამფასებლები, სილამაზის გარდა, მიაქცევენ ყურადღებასა და მხედველობაში იქონიებენ აგრეთვე ტანოვანობასა და აგებულების სიმშვენიერეს.

— ამერიკის გაზეთების სიტყვით, კანადას ტელეფონი სასამართლოშიაც უცდიათ. ტელეფონის გამოყენება მოუწადინებიათ იმ შემთხვევისათვის, ვინიცობაა ბრალდებული, ან მოწამე ვერ მივიდა სასამართლოში; ამათ შეუძლიანთ თავიანთი ჩვენება სასამართლოს ტელეფონით უთხრან. ტელეფონის ამ გვარად მოხმარება ძალიან გამოდგარა, ასე რომ ამას წინად ტორონტოს ერთი მცხოვრებელი ტელეფონით განუსამართლებიათ და ტელეფონითვე გადაუციათ სასამართლოს გარდაწყვეტილება.

— გაზეთის საქმეში გაჭაღარავებულს უფროსს რედაქტორს გაზეთ „New-York-Sun ისას, ჩარლზ დანის, თავისის უმცროსის თანამშრომლებისათვის მიუცია შემდეგი დაბეჭდილი დარიგებანი: 1) გვაუწყეთ ხოლმე ახალი ამბები და მარტო ოდენ ახალი ამბები; 2) ნურასფერს გადმოჰბეჭდავთ სხვა ნაბეჭდ გამოცემებიდგან ამ ნაბეჭდთა დაუსახელებლივ; 3) ნურას დროს ნუ დაჰბეჭდავთ ბაასს, საუბარს ვისისამეს, თუ ნება არა გაქვსთ აღებული იმისაგან, ვინც ამ საუბარში მონაწილე იყო; 4) განცხადებას ნურასოდეს ნუ დაუძახებთ ახალს ამბავს: დღე ყოველს-ავე განცხადებას გარეგნივ განცხადებისავე სახე ჰქონდეს; 5) ნურას დროს ნუ გაჰკიცხავთ, თუ არა უკიდურესს შემთხვევაში, სუსტთა და უშემწეოთა; 6) თქვენი აზრი დაიცავით, იბრძოლეთ მისთვის, ხოლო ნუ-კი იფიქრებთ, რომ აზრი იგი სრული ჭეშმარიტება იყოს; 7) მხარი მიეცით და ხელი შეუწყეთ ყოველისფერში თქვენს დასს, თუ დასი გყავსთ, ხოლო ნუ-კი იფიქრებთ, რომ იმ დასში სულ კარგი და პატიოსანი კაცები იყვნენ; 8) უწინარეს ყოვლისა გახსოვდეთ და გრწამდეთ, რომ კაცობრიობა წინ მიდის და რომ მყობადი ბევრად უკეთესი იქმნება აწმყოსა და წარსულზედ.

# დეპეშა

17 ნოემბერი

ბელგრადი. არჩევანზე რადიკალებმა გაიმარჯვეს. მეფე ამ არჩევანს კანონიერად არა სცნობს.

პარიჟი. დეპუტატები თხოულობენ, რომ ქილი სამართალში მიეცეს ცილის-წამებისათვის. საბიუჯეტო კომისიის წევრებს ქილიმ მოქრთამეობა დასწამა.

## პეტერბურგის ბირჟა, 15 ნოემბ.

| | მყიდველთა. | გამყიდველთა. | გაყიდულთა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 78 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 156¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 18 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 271½ |
| —მეორისა . . . . . | 245 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
ნოემბერი 30 დღით არის

19 დღე შაბათი. წინასწარმეტყ. ავდიასი, ილიას მოწამისა. კათოლ. დედოფ. ელისაბედისა. სომეხ. ყველა წმიდათა. ღაჰმად. მე-27 რიცხვი თთვისა რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—7, ჩადის 4—31. მთვარე 28 დღისაა.

20 დღე კვირა. გრიგოლისა და ანატოლისა. კათოლ. ფელიქსესი. სომეხ. ნახატონაქე. მაჰმად. მე-28 რიცხვი თთვისა რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—8, ჩადის 4—30. მთვარე 29 დღისაა.

21 დღე ორშაბათი. ტაძრად მიყვანება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა. კათოლ. იგივე. სომეხ. იგივევე. მაჰმად. მე-29 რიცხვი თთვისა რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—9, ჩადის 4—30. მთვარე დაიბადება საღამოს 1 საათსა და 10 წუთს.

22 დღე სამშაბათი. მოციქ. ფილიმონისა, არხიპისა და სხ. კათოლ. ცეცილიასი. მაჰმად. 1-ლი რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—10, ჩადის 4—30. მთვარე 2 დღისაა.

23 დღე ოთხშაბათი. მოწ. გრიგოლისა. კათოლ. კლემენტინასი. მაჰმად. მე-2 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—11, ჩადის 4—30. მთვარე 3 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | . 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . | . 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . | . 4 | |
| მე-3 — . . | . „ | „ |
| მროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . | . 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . | . 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულ. კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

გამგეობა ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ ამ ბანკის გირავნობის ფურცელთა მე-XXVII ტირაჟში გამოვიდა შემდეგი ნომრები.

ძველის კატეგორიის ობლიგაციები:

18 წლ. 7 თთვით

1 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 19 და 124.
2 სერიისა 100 მ. ღირსებისა № 13.

27½ წლით

2 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 98, 118 და 181.
2 სერიისა 1000 მ. ღირსებისა № 11.
3 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 16 და 155.
3 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 150.
3 სერიისა 1000 მ. ღირსებისა № 115.
4 სერიისა 500 მ. ღირსებისა №№ 47 და 65.
6 სერიისა 1000 მ. ღირსებისა № 1.
8 სერიისა 1000 მ. ღირსებისა № 6.
10 სერიისა 1000 მ. ღირსებისა № 94.
11 სერიისა 100 მ. ღირსებისა № 129.

43½ წლით

7 სერიისა 100 მ. ღირსებისა № 147.
8 სერიისა 500 მ. ღირსების № 2.
9 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 179, 79 და 155.
9 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 49.
11 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 203 და 31.

54½ წლით

2 სერიისა 100 მ. ღირსებისა № 32.
3 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 94, 73 და 82.
4 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 33.
5 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 144.

საურთიერთო თავდებობით გამოცემული ობლიგაციები.

27½ წლით

1 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 43, 193 და 138.
1 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 80.
1 სერიისა 1000 მ. ღირსებისა №№ 180, 176, 226 და 55.
2 სერიისა 100 მ. ღირსებისა № 32.
2 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 126.
2 სერიისა 1000 მ. ღირსებისა №№ 603, 630, 35, 277, 267, 76, 147, 654, 737 და 637.
3 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 134, 146 და 51.
3 სერიისა 1000 მ. ღირსებისა № 134.
4 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 71 და 165.
4 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 16.
4 სერიისა 1000 მ. ღირსებისა №№ 41 და 279.
5 სერიისა 100 მ. ღირსებისა № 79.
5 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 20.
5 სერიისა 1000 მ. ღირსებისა №№ 74, 60 და 20.
6 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 48, 21 და 2.
6 სერიისა 1000 მ. ღირსებისა № 110.
7 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 66 და 216.
7 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 40.
7 სერიისა 1000 მ. ღირსებისა №№ 284, 240 და 64.
8 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 30, 39, 66 და 21.
8 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 15.
9 სერიისა 100 მ. ღირსებისა № 44.
9 სერიისა 1000 მ. ღირსებისა № 61.
10 სერიისა 1000 მ. ღირსებისა № 21.
11 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 48 და 56.
11 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 24.
11 სერიისა 1000 მ. ღირსებისა №№ 237 და 47.
12 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 45, 10 და 55.
12 სერიისა 500 მ. ღირსებისა №№ 34 და 36.
12 სერიისა 1000 მ. ღირსებისა № 28.
13 სერიისა 100 მ. ღირსებისა № 231.
13 სერიისა 1000 მ. ღირსებისა №№ 40 და 123.
14 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 69 და 10.
14 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 28.
15 სერიისა 100 მ. ღირსებისა № 235.
15 სერიისა 1000 მ. ღირსებისა №№ 152, 225, 142, 223, 238 და 129.
16 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 210, 29 და 4.
16 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 28.

43½ წლით

1 სერიისა 100 მ. ღირსებისა № 29.
1 სერიისა 150 მ. ღირსებისა №№ 22 და 14.
1 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 21.
2 სერიისა 100 მ. ღირსებისა № 39.
2 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 17.
3 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 102 და 27.
3 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 16.
4 სერიისა 100 მ. ღირსებისა № 14.
4 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 2.
5 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 4.
5 სერიისა 1000 მ. ღირსებისა №№ 71 და 61.
6 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 64, 34, 66, 76, 19 და 46.
7 სერიისა 100 მ. ღირსების №№ 43 და 14.
7 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 22.
8 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 9.
8 სერიისა 1000 მ. ღირსებისა №№ 227 და 246.
9 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 22, 43 და 47.
9 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 11.
10 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 19 და 8.
13 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 109, 105, 1 და 104.
14 სერიისა 500 მ. ღირსებისა № 6.
15 სერიისა 100 მ. ღირსებისა №№ 135, 57, 112 და 107.
16 სერიისა 100 მ. ღირსებისა № 7.

მე-XXVII ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცელთა სარგებელი 1889 წლის 2 იანვრამდე ეძლევათ. ზემოხსენებულს ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებში მიღება ფულისა შეიძლება ს.-პეტერბურგსა და ვარშავს, ვაველბერგის საბანკო კანტორებში, და ტფილისს, ბანკის კასაში, ყველა კანტორებსა და სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში.

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის საზოგადოებაში და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი:
დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ
**დედებმა**
ძუძუ-მწოვარ უმაწვილებს.
ფასი ერთი შაური.
(5—3)

კერძო ექიმი
**პრეობრაჟენსკი**
არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.
ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.
ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, ბექხანოვის, სახლი, № 103. (10—7)

Доз. ценз. Тифлисъ, 18-го Ноября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე